

# სახაზინო სამსახურის

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს 2015 წლის იანვარ-თებერვლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ

### სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2015 წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 1 341 263.9 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 1 097 852.9 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 25 921.1 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 7 772.7 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით 209 717.3 ათასი ლარი.

2015 წლის იანვარ-თებერვალში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (1 097 852.9 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (1 870 058.1 ათასი ლარი) 58.7%;

– გადასახადების პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 780 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 015 927.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 57.1%;

მათ შორის:

„გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“ საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 755 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 307 681.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 40.8%-ია;

მათ შორის:

„საშემოსავლო გადასახადის“ პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 468 100.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 274 559.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 58.7%;

„მოგების გადასახადის“ სახით მიღებული შემოსულობების მოცულობამ (33 122.2 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (286 900.0 ათასი ლარი) 11.5%;

„სხვა გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“, რომელთა კლასიფიცირება შეუძლებელია შეადგინა 0.3 ათასი ლარი;

- პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საქონელსა და მომსახურებაზე“ შეადგინა 993 100.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 693 896.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 69.9%-ია; მათ შორის:
  - „დამატებული ღირებულების გადასახადის“ პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 799 900.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 571 382.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 71.4%;
  - „აქციზის“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 122 513.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (193 200.0 ათასი ლარი) 63.4%-ია;
- პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე“ (იმპორტის გადასახადი) შეადგინა 25 800.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 11 342.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 44%-ია;
- „სხვა გადასახადების“ პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 6 100.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 3 006.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 49.3%.
  - გრანტების პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 44 578.1 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 44 574.6 ათასი ლარი (რაც გეგმის 100%-ია); მათ შორის:
    - ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა მინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები – 9 228.4 ათასი ლარი;
    - სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 140.7 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში;
      - ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 29 971.2 ათასი ლარი;
      - „სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №419 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 5 234.3 ათასი ლარი.
  - „სხვა შემოსავლების“ პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 45 480.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 37 351.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 82.1%. მ.შ. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული ნებაყოფლობითი ტრანსფერები,

გრანტების გარდა 48.8 ათასი ლარი, რომელიც ბიუჯეტში აისახა ზემოთ მითითებული ბრძანების შესაბამისად.

2015 წლის იანვარ-თებერვალში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (25 921.1 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (10 500.0 ათასი ლარი) 246.9%.

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 7 772.7 ათასი ლარი, რაც პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (8 400.0 ათასი ლარი) 92.5%–ია. მათ შორის:

შემოსულობები სესხებიდან – 7 771.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (8 400.0 ათასი ლარი) 92.5%;

შემოსულობები სხვა დებიტორული დავალიანებებიდან – 1.5 ათასი ლარი.

„ვალდებულებების ზრდით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 209 717.3 ათასი ლარი (რაც გეგმის – 310 217.0 ათასი ლარის 67.6%–ია);

მათ შორის:

– საშინაო ვალდებულებების ზრდით (შემოსულობები ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა) ფაქტიურად მიღებული იქნა – 176 122.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (200 000.0 ათასი ლარი) 88.1%–ია;

– საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 33 594.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (110 217.0 ათასი ლარი) 30.5%–ია, მათ შორის:

– საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნის მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები – 33 594.9 ათასი ლარი (რაც გეგმის – 88 217.0 ათასი ლარის 38.1%–ია); მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 16 932.5 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 16 662.4 ათასი ლარი.

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 33 647.3 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებლების მიერ

ხარჯების გაწევის შესაბამისად, განხორციელდა კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის გზით მიიმართა ბიუჯეტის შემოსულობებში.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის №835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2015 წლის იანვარ-თებერვალში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში, ასევე გადასახდელებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები, სულ 917.6 ათასი ლარი.

### **სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება**

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2015 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 434 417.9 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 434 242.9 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 175.0 ათასი ლარი.

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2015 წლის 1 მარტისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 477 790.4 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 477 688.7 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 101.7 ათასი ლარი.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-მუხლის, მე-8 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №176-ე განკარგულების თანახმად – 172 835.1 ათასი ლარი და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-მუხლის, მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის №29-ე განკარგულების თანახმად – 99 996.0 ათასი ლარი (სულ 272 831.1 ათასი ლარი), სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (დაგროვება) შეადგინა 43 372.5 ათასი ლარი.

## სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2015 წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 1 097 852.9 ათასი ლარის მოცულობით (პირველი კვარტლის გეგმა 1 870 058.1 ათასი ლარი); ხარჯებმა შეადგინა 1 109 967.5 ათასი ლარი (პირველი კვარტლის გეგმა 1 818 661.4 ათასი ლარი); საოპერაციო სალდომ შეადგინა -12 114.6 ათასი ლარი (პირველი კვარტლის გეგმა 51 396.7 ათასი ლარი); არაფინანსური აქტივების ცვლილების შესრულებამ შეადგინა 46 340.3 ათასი ლარი: მათ შორის: შესრულებამ არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შეადგინა 25 921.1 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდით შესრულებამ 72 261.4 ათასი ლარი.

2015 წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ შეადგინა -58 454.9 ათასი ლარი (პირველი კვარტლის გეგმა -62 395.8 ათასი ლარი).

## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №430 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2015 წლის პირველი კვარტლის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 2 162 575.9 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 2 057 780.8 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები 104 795.1 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ვალდებულებები რეგისტრირებული იყო 1 710 620.7 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 297 891.5 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 1 237 708.5 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 60 182.9 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 75.9%, ხოლო გეგმის 60%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2015 წლის იანვარ-თებერვლის მთლიან ხარჯებში შეადგინა 95.4%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 4.6%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის №738 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა იანვარ-თებერვალში ხორციელდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის მიხედვით.

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2015 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 351 081.8 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 300 773.8 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 215 828.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 71.8%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 61.5%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2015 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 202 221.1 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 138 872.3 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 102 493.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 73.8%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 50.7%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2015 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 79 856.0 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 67 144.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 53 536.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 67% და ვალდებულების 79.7%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 37 055.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (50 663.6 ათასი ლარი) 73.1%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 16 481.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (16 481.0 ათასი ლარი) 100%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2015 წლის პირველი კვარტლის გეგმამ შეადგინა 62 987.3 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ

შეადგინა 34 137.3 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 28 933.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 84.8%-ს და გეგმის 45.9%-ს შეადგენს.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2015 წლის პირველი კვარტლის გეგმამ შეადგინა 232 094.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 151 970.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (182 774.3 ათასი ლარი) 83.1% და საგეგმო მაჩვენებლის 65.5%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2015 წლის იანვარ-თებერვალში ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს ფინანსური დახმარების სახით გადაერიცხათ 147 627.0 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (177 623.6 ათასი ლარი) 83.1%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2015 წლის იანვარ-თებერვალში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 437 815.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (610 076.9 ათასი ლარი) 71.8% და საგეგმო პარამეტრის (656 348.2 ათასი ლარი) 66.7%-ია.

აღნიშნული მუხლიდან სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფის ხარჯების დასაფინანსებლად 2015 წლის პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 500 278.4 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 330 992.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 66.2%-ია. მათ შორის: საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 226 771.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (345 000.0 ათასი ლარი) და გეგმის 65.7%-ია; სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 150 400.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 102 199.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 68% და ვალდებულების (150 003.0 ათასი ლარი) 68.1%-ია; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 147 758.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 102 322.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 69.2% და ვალდებულების (106 995.5 ათასი ლარი) 95.6%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2015 წლის პირველი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 234 072.6 ათასი ლარით, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 177 845.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 119 390.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 67.1%-ს და გეგმის 51%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 102 850.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 67 275.2 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების 64.5%-ია.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2015 წლის პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 124 292.6 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ

შეადგინა 78 215.3 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 72 261.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 92.4%-ს და გეგმის 58.1%-ს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 49 079.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 38 251.8 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (36 737.6 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 96% და საგეგმო მაჩვენებლის – 74.9%.

„ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2015 წლის პირველი კვარტლის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 77 120.0 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 35 484.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 35 402.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.8%-ს და გეგმის – 45.9%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 21 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 21 000.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის 100%-ს შეადგენს.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2015 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 142 502.0 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 85 296.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 80 260.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 94.1%-ს და გეგმის 56.3%-ს შეადგენს. მათ შორის:

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 72 825.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (72 826.6 ათასი ლარი) 100%-ია;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 7 434.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (12 469.8 ათასი ლარი) 59.6%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ, რომელთა ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, მ.შ. ინფორმაცია თანხების შესახებ, რომელთა ათვისება პროექტის განმახორციელებლების მიერ ხდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა, მომავალში მისაღები (ოვერდრაფტის) გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგინა 9 545.8 ათასი ლარი. მათ შორის:



- „აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი–სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა–რეკონსტრუქციის პროექტი (JICA)“ – 7 738.8 ათასი ლარი;
- „წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი-II (ევროპის საინვესტიციო ბანკი)“ – 215.1 ათასი ლარი;
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში“ – 1 591.9 ათასი ლარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის №92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2015 წლის პირველი მარტისთვის შეადგინა 106.3 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი უწყებების საკასო ხარჯებში.

## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2015 წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 1 182 228.8 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 273 945.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (443 067.0 ათასი ლარი) 61.8%-ია. აღნიშნულ ხარჯებში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 63 029.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (118 527.8 ათასი ლარი) 53.2% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 23%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 53 463.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (79 750.0 ათასი ლარი) 67% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 19.5%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2015 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 138 206.8 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 86 520.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 62.6%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის (1 182 228.8 ათასი ლარი) 7.3%.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2015 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 240 836.2 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 141 773.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 58.9%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 12%; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 94 534.4

ათასი ლარი, ანუ გეგმის (162 085.5 ათასი ლარი) 58.3%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (13 665.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (26 228.6 ათასი ლარი) 52.1%; სასჯელადსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 16 587.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (25 373.0 ათასი ლარი) 65.4%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2015 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 149 776.2 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 79 216.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 52.9%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (3 019.2 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (7 771.7 ათასი ლარი) 38.9%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (7 269.2 ათასი ლარი), გეგმის (28 137.1 ათასი ლარი) 25.8% შეადგინა; ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 86 837.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 60 419.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 69.6%.

გარემოს დაცვის ხაზით 2015 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 9 345.0 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 4 602.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 49.2%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით 2015 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 16 117.0 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 3 280.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 20.3%. მათ შორის, წყალმომარაგების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 13 740.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 1 668.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 12.1%-ია.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2015 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 173 820.5 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 113 125.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 65.1%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 9.6%; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 120 265.1 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (87 937.8 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 73.1%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (16 896.5 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (30 035.6 ათასი ლარი) 56.3%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 1 816.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (4 217.5 ათასი ლარი) 43.1%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 27 781.7 ათასი ლარით, რაც 2015 წლის პირველი კვარტლის გეგმიური მაჩვენებლის (55 517.2 ათასი ლარი) 50%-ს შეადგენს. ტელე-რადიო მაუწყებლობის და

საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრულია 12 589.0 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (5 637.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 44.8%.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 183 661.3 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 100 432.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 54.7% და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 8.5%; აღნიშნულ ხარჯებში ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა – 69 716.2 ათასი ლარი, რომელიც გეგმის (108 272.5 ათასი ლარი) 64.4%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსებამ – 8 301.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (31 166.1 ათასი ლარი) 26.6%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 532 606.7 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 351 549.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 66%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 29.7%. ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 345 571.2 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 226 833.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 65.6%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 103 607.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (154 438.4 ათასი ლარი) 67.1%-ია.

## **საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები**

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შვიდ შემთხვევაში შეადგინა სულ 116.8 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 78.0 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2015 წლის 1 მარტის მდგომარეობით შეადგინა 38.9 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ცამეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 21 220.2 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 19 203.3 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2015 წლის 1 მარტისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 2 017.0 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

## **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი**

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ოთხ შემთხვევაში შეადგინა სულ 3 524.3 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 3 524.3 ათასი ლარი.

## **წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა**

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარად „ვალდებულებების კლების“ მუხლით გამოყოფილი იქნა 7 616.0 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 6 275.2 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად განისაზღვრა 5 418.4 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 4 217.0 ათასი ლარი. მათ შორის: საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადასახდელად მიიმართა 4 190.7 ათასი ლარი (გეგმა – 4 500.0 ათასი ლარი); სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ „საგარეო-სხვა კრედიტორული დავალიანების დაფარვის გეგმამ შეადგინა 918.4 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა – 26.2 ათასი ლარი.

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 13 500.0 ათასი ლარი, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 873.7 ათასი ლარი; აქედან: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დასაფარად გამოეყო 50.1 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 50.1 ათასი ლარი), ხოლო სხვა ხარჯების მუხლით გამოეყო 11 793.7 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 11 793.7 ათასი ლარი),

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის და წინა

პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა, გაწეული ხარჯი (გეგმა – 491.3 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 1 134.4 ათასი ლარი) ითვლება საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დაფარვად.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში, წინა წლების დავალიანებების დასაფარავად გაწეულ ხარჯებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში ერთვის დანართის სახით.

„წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა – 873.7 ათასი ლარი, რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოდზე.

2015 წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.